

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების

დანართში N5 - ბარათი შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დაემატოს 69. პუნქტი შემდეგი ფორმულირებით:

69. თუ **კლიენტი** წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოცემული ნორმატიული აქტის ან მისი შემცველი ნორმატიული აქტით (შემდგომში „**ნორმატიული აქტი**“), განსაზღვრულ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომელს და აღნიშნულის შესახებ **ბანკს** ინფორმაცია მიაწოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ:

69.1. **კლიენტი** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ავტობუსისთვის მგზავრობის საფასურის **ბარათით** გადახდის შემთხვევაში სარგებლობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული აქტით** განსაზღვრული საშელავათო/ფასდაკლებული ტარიფით.

69.2. იმ შემთხვევაში თუ **წინამდებარე დანართის 69 პუნქტით** განსაზღვრული **კლიენტი** აღარ ირიცხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომელთა სიაში (რომელსაც **ბანკს** აწვდის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია), **ბანკი კლიენტს** ცალმხრივად, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე, შეუწყვეტს **ნორმატიული აქტით** განსაზღვრული საშელავათო/ფასდაკლებული ტარიფით სარგებლობის შესაძლებლობას, იმ დრომდე ვიდრე **კლიენტი ბანკს** არ წარუდგენს **ბანკისთვის** მისაღები სათანადო ფორმით/წესით დამოწმებულ/გაცემულ დოკუმენტს იმის თაობაზე, რომ ეს უკანასკნელი დასაქმებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებაში ან **ბანკისთვის** სხვაგვარად არ გახდება ცნობილი **კლიენტის** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებაში დასაქმების თაობაზე.

ზემოთ მოცემული პუნქტების ამოღებიდან გამომდინარე, არსებული პუნქტების ნუმერაცია შეიცვალოს დარჩენილი პუნქტების თანმიმდევრობის შესაბამისად.